

## ზოგი ფუძის ისტორიისათვის ჩართულები

1. გრემან-; 2. ფეო-

სიტყვები თავიანთი არსებობის მანძილზე სხვადასხვა მნიშვნელობას იქნენ. ამასთან დაკავშირებით ხშირად იცვლება მათი ფონეტიკური სახეც. აქ შევეხებით ორ ასეთ ფუძეს.

1. გრემილ-||გრემლ-, გრემან-||გრემნ-.

ამ ფუძეთა შემცველი სიტყვები ჯერ კიდევ ძველ ქართულში იმარება.

1) ამ სიტყვათა ერთ-ერთი მნიშვნელობა უკავშირდება თვალ-წირბის მოხატვა-შელებვას:

იცხო თუალთა შენთა საგრემნელი (საგლემველი)  
I) 0,— იცხო თუალთა შენთა საგრემილველი ცb. (იერემ., 4,30; ი. აბულ); იგრემლებდ თუალთა შენთა და იმკვებოდე სამკაულით (ეზეკ., 23, 40); მოიგრემანნა თუალნი თვისნი და შეიმკო თავი თუსი (IV მეფ., 9,30).

საგრემი, საგრემელი, საგრემილებელი, საგრემილველი — „საოლავი, წარბი საღებავი სურმა“, — განმარტებს დ. ჩუბინაშვილი.

2) გრემანი ხშირად დასტურდება თვალ- სიტყვასთან და იღებს „თვალების ფერის“ მნიშვნელობას. საბა წერს: „რომელთა თვალი არც აქვს შავი და ცხოვართა ფერი აქვს, ეწოდების გრემან“.

ი. აბულაძის განმარტებით, გრემანი არის „ზღვისებრ ლურჯი“:

რომელ იყო ყრმა, ჭაბუქ გრემან და ქმნულ-კეთილ თუალითა (შატბ., 245, 27); რამეთუ იყო იგი ასოდთა მდაბალ, თმითა ლულარ-ჭინილ, ყურითა გან(ც)ქეულ, კირ დრეკილ, გრემან თუალითა (თეკლ., 92,17); იყო დიმიტრი... თუალითა გრემან (ქ. ცb., II, 271,6); [თამარ მეფეს] ტანსა ზომიერსა გრემანობა თუალითა და ღაწუთა სპერაკთა ზედა ვარდებრივ ფეროვნობა (ქ. ცb., II, 116,6); რამეთუ ვარ სიმილლითა ასაკისათა შეიღისა ჩარექისა წყრთეული, თუალნი გრემან და თმანი და წარბი ქარც (ი. ბარათ., 1,24); ეერ ხელავ საქმეს სოფლისას მკვირცხო, თვალითა გრემანო (არჩ., 2,1);

თუ ალგრემა, ბავებალახში, შეწყობით კბილძოწიანი (ქილ. და დამ., 574,18).

3) გრემან- გაღმოსცემს აგრეთვე „აღამიანის სახის მოთეთრო-მო-შავო ფერის“ შინაარსს:

ვითარ-ივი შუვა-განმყოფელსა მას სპეტაკისა და შავისასა გრე-მან — სახელ-ედების (ოოვ. დამასკ., 155,2).

არიან. გუამნი გრემანიცა და მწითურნი (ოოვ. დამასკ., 154,30).

მე-12 საუკუნიდან ამ მნიშვნელობით გრემანი ძირითადად დასტურ-დება შავ- და იშვიათად თეთრ- სიტყვებთან ერთად:

ვინც ზუპალისა ნაშილსა ზედა იშვას, კაცი იყოს პირმრგუალი; თეთრ-გრემანი და მომწითურე (ეტლ., 8,22); ვინცა ზუპალისა ნაშილსა ზედა იშვას, კაცი მომჭლე იყოს, ტანგრძელი, შავ-გრემანი და კილ-გვანი (ეტლ., 5,41); ვინცა ოტერიდისა ნაშილსა ზედა იშ-ვას, კაცი იყოს შავ-გრემანი (ეტლ., 9,38).

გრემანი ამ ფორმით ახალ ქართულშიც იჩენს თავს:

ამ დროს ჩავიდა ეკლესიის ჭისკრებში ერთი ბეჭებგანიერო, უსი-ამოვნო შეხედულების შავ-გრემანი ყმაწვილი კაცი (ე. ნინოშ., I, 25,3). მოვგვიანო საუკუნეების სამწერლო ძეგლების მიხელვით „სახის ფერის“ აღმნიშვნელი გრემან ფუძე ვ თანხმოვნით რთულდება:

[ქალნიცა]... მოშავგვრემანი, მჯნენი და მბრძოლნი უფ-როს კაცთა (ქ. ცხ., IV, 333,7); შავგვრემანი, შავთვალა, ეშხის ციცხლით მშველია (აკაკი, IV, 403,5); მოიგონეთ შავგვრემანი თქვენი ძმები (ი. ნონეშ., 70,13); შავგვრემანი ბიჭი იყო შავ-თვალწარბა (ვ. ბარნ., IV, 226,15) ხართუთას ქვეშ დაცუნცულებს ოთხო-ხუთი წლის თმაზუჭუქა შავგვრემანი ბიჭი (ს. მგალობ., 581,27).

შავგურემანი — „პირით შავმოწითლო“ (დ. ჩუბინ.).

შავგვრემანი — „მოშავო (აღამიანი)“ — (ქეგლ.).

გვრემანი დასტურდება თეთრ- ფუძესთანაც.

ქაღლ-ის მიხედვით, თეთრგვრემანი სასაუბრო ფორმაა და იგივეა, რაც „ქერა“:

მის ქაღლიშვილურ თეთრგვრემან სახეს და ცისფერ თვალებს ეს ხმა სულაც არ ეხმებოდა (დ. შენგ. II, 9,9); არც გარეგნობით იყო უშნო ეს შუანის კაცი, მაღალი, ძლიერი აგებულებისა, თეთრ-გვრემანი, ქერათმიანი (ნ. დოლ., 121,11).

დიალექტებში ძირითადად გრემალ- | გრიმალ- | გვრიმალ- ფუძეები გმოიყენება:

ჩემი შეყვარებულია შავგვრიმალი ბიჭი (რაჭ., ძიძიგ., 250,26); ნუცა შავგვრიმალი ქალია, კოხტაი (ზ. იმერ., ძოშენ.).

წისელა სქობ წამავალისა, არ დახანება ხანისა, კოცნა ჰერბ თეთრი ჭილისა, ჩახვევნა შავგვრემალისა (ქართლ., ძიძიგ.); დამიტი-როს თეთრმა ქალმა, შავგვრემალმა დამმარხოსა (თ. რაზიკ.); შავგვრემალა ქალაი, კაის დახედულობისა, ინდოიანი (სევს., ჭინვ., 16):

აღსანიშნავია, რომ იმერულში მოშავო აღამიანის დასაბასიათებლად მარტივი გვრიმალ-||გვრიმან- სიტყვებიც დასტურდება:

გვგო ჯობს ბიჭს, კაი გვრიმანია; გვრიმალები არიან ბიჭები (ზ. იმერ., ძმწერ.).

ამავე დიალექტში გვრიმანი დასტურდება „სარეცხის“ აღმნიშვნელ სიტყვასთან და ნიშნავს „ფერგადაკრულ თეთრ, არა სუფთა თეთრ სარეცხს“:

სარეცხი გვრემანია, კაი იყო, რო გამამეხარჩა (იმერ., გაჩეჩ.).

სიტყვა გრემანის წარმომავლობა და მასთან დაკავშირებული რიგი საკითხი განხილული აქვს მ. ანდრონიკ აშვილის იგი წერს: სიტყვა გრემანი ძველ ქართულში კონკრეტულ ფერზე კი არ მიუთითებდა, არამედ ზოგადად აღნიშნავდა: „ლამაზი ფერისა, ლამაზი, მომხიბლავი“; გრემან თვალითა კი „ლამაზ თვალებიანს, ან, შესალოა, ჭრელთვალებას“ ნიშნავდა. მკლევრის აზრით, მოსაულად გრემანისათვის უნდა მიეიჩნიოთ სპარსული **guneman** — „ფეროვანი, ნითელი, ჭრელი“, **guneman(d)** სონორთა დისიმილაციით ქართულში ვა-დავიდა **gureman**-ად<sup>1</sup>.

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული მასალა ნებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ გვრემან- ფუძე მომდინარეობს გრემან-ისაგან: თავის მხრივ, გრემან-—გრემალ-—გრემილ-; გრემილ- კი უნდა უკავშირდებოდეს ფრანგ. **grimer**-—ს, რომელიც, როგორც შენიშნულია, ძვ. იტალიურიდან უნდა მომდინარეობდეს<sup>2</sup>. ამავე წარმომავლობისა უნდა იყოს, როგორც ეს უკვე აღნიშნულია ქეგლ-ში, რუსული ენის მეშვეობით ჩვენში შემოსული სიტყვა გრიმ-ი „სახის ფერადი სალებავი მსახიობთათვის||ასეთი სალებავით შეცვლილი სახე (მსახიობისა).

1 მზ. ანდრონიკ აშვილი, შენიშვნები ქართულიდან ლაურში შესული სპარსული სიტყვების შესახებ: აღმოსავლეთმცოდნეობა, თსუ შრომები, 180, თბ., 1976, გვ. 18.

2 М. Фасмер, Этимологический словарь русского языка. Перевод с немецкого и дополнения О. Н. Трубачева, т. I, М., 1964; Этимологический словарь русского языка, т. I, вып. 4, Г (под редакцией Н. М. Шанского), М., 1972.

2. ფუთ-ფუტიანი სიტყვები ქველი ქართულის სამწერლო ძეგლებში დასტურდება ბჭე, კარ- ფუტებთან ერთად და ნიშნავს „გადებას“. განაცემონებს „ქარნი ჩქარად აღახენეს“, — მიუთითებს საბა.

მო-ვინმე-ვიდა მდიდარი, რომლისათვის მეყსეულიდ განაფეთნეს კარნი და მიეგება მამასახლისი (A-1105, 218v); სადა იყო ღმრთებითა და ბჭენი არა განფეთნა (Ath—11, 130v). ეს მნიშვნელობა იშვიათად თანამედროვე სამწერლო ენასა და დიალექტებშიც იჩენს თავს:

ზოლის მესამე კარსაც გაფეთავს, მაგრამ ისევ მინის კედლებთან ოთახში იღმოჩნდება (ვ. ჭელ., თარგმ.); სიღნეიმ შემოფეთა ბნელი ოთახის კარები (ვ. ჭელ., თარგმ.); რაფერ გაგიფეთიათ ყველა კარები (გურ., შარაშ.).

აჭარულში ამ მნიშვნელობით ფეთ→ფიათ-ფუტიანი ლექსიმები გამოიყენება.

მათ კარები რომ გააფიათე, არ გცივა მაინც (აჭარ., ნიუ.).

ფეთ-ფუტიანი სიტყვები გვხვდება შემდეგი გადატანითი მნიშვნელობებითაც:

1) აღნიშნავს „ხმლის გამალებულ ქნევას“.

ფეთ გამალობითი გვხვდება შემდეგი გადატანითი პოროლთანი (ქ. ცხ., 11, 52, 11).

2) გაღმოსცემს „ხევის, გლეჭის, ფლეთის“ მნიშვნელობას:

მას დღესა ჩემი მებრძოლი ჩემმანეე ხრმალმან დაფიათა (რუს., 441,4); ხმალიც მოგვეკრა საკვდავად, გლახ, ხორცი ჩემი გვეფეთა (არჩ., 152, 126); მას დღე ხოცა ბევრი კაცი, მას მებრძოლი სრულ ფიათა (ამირანდარ., 506,4); აბგართა უწყო ფეთანი (ფეშ., 5,3).

ფეთ- ფუტის ეს მნიშვნელობა შემონახულია დიალექტებშიც:

ი შენის ჯაჭვის კალთები „ოკერმა როგორც და ფითა“ (ხევს. პოეზ., 519, 25).

ახლა პატარა კალამმა ფარ-ქმალ შუაზე გაფიათა (ხევს. პოეზ., 35,1).

ფექთსაყადში მეეგდოთ მგლებს ერთ კოლექტივის ძრობა და ეგრევი ფიათათ, რო სუ თავთავად წაელ-წამეელოთ (ხევს. მას.).

ძაღლი ზედ წააჭდა და შეუბრალებლიდ ფეთა დაუწყო (ბაჩ.).

3) რიგ კონტექსტებში ეს სიტყვა აღნიშნავს „მოულოდნელ შეხვედრის, წაწყდომას“;

კუალად სხუანი სიყმილითა განლიგებული, ვითარცა ძაღლი განცოლებული ეფეთები და დეს (ხონ., გ. მონაზ., 195,22); ზოგს ლოდს ესროლნენ, ზოგს ეფეთებოდნენ და შეშლილნენ (საბა, I, 143,23); გადასახვევთან ის გუშინდელი წყეული წინ შემეფეთა (ყავი, VII, 311,28); მა წუთას იეთარი რომ წინ შეჲ ფეთებოთ-

და, ხელი არც კი აუგანგალდებოდა, ისე წააღრჩობდა (შ. არაგვ., 339,4); შეეფეთა და გაშრა (ც. მიმრეჭ., 486,15); შეგ კარში შეეფეთა და გაშრა დალი ელგუჯას (რ. ჭეიშ., 34,23); კარგსა ვეძებ, ბიძაო, და ვერ შეეხვდი და ცედი არსად მე ფეთები ბაო (რაჭ., ძიძიგ. 127, 16).

4) ფეთ-ფუძიანი სიტყვები გავრცელებულია „შეშინების, დაფრთხობის, მოლანდების“ მნიშვნელობითაც:

ვითა ქაგი დაგვემალე, მონებიცა დავაფეთეთ (რუსთ., 288,3); რა ჰეყნუსარმ ქალი დაინახა, გაფეთებული წამოხტა და წინ მოეგება (ყარამ., 667,22); გისავით გაფეთებული შემოვარდა კესო (ილია, 500,9); როცა აიწყვიტენ, გაიძენ, სულ გზა-გზა მივდევდი და ვაფეთებდიო (ნ. ლორთქ., 330,35); რა მოგ ფეთათ, თქვე დაწყევლილებო თქვენა (ვაჟა); ფეთიანია ეს სამგლე [ცხენი], ყოლიფერზე დავაფეთება ხოლმე (იმერ., გაჩეჩ.); ცოტა რამ აფეთებს (ქიზიყ., მენოვშ.).

ფეთელა — „დაფეთებული“: „უბრალო რაღაცაზე რო დაფეთდება, შეეშინდება, ფეთელია ის. ფეთელია, მის მეტსა შვილი არავისა ჰყოლია“ (ქართლ., ბეროზ.).

ოფეთელა — „ჩქარი, დაფეთებული, მოუფიქრებელი“ (გურ., გაგან.). ამავე ფუძეებს უკავშირდება ფეთი, ფეთიანი.

საბას განმარტებით, ფეთი არის „ლამით, საოცრისაგან შეშინება“, ფეთიანი — „არს ლამით საოცართა და ფეთებათა მიერ მცირეხანს ცნობა მიღებული“; ნ. ჩუბინაშვილი კი ისე განმარტავს „დაფეთიანებას“: „მძინარის შეშინება საზარელითა რითმე ხმითა და ანაზღად გაღვიძება“.

სასიკვდილოდ მიგიცივარ, მიბრავუნებს ვითა ფეთი (ბეს., 157,24); ფეთიანი ვით წამოხტა: მგზავრობა სიგრილით ჭაბიათ (ა. გეწ., 44,20); ფეთიანი ვით რომ შევგარდი თახახში, მეწის-ქვილე ბიქი ისე წამოვარდა, თითქოს დაუყვირესო (კ. კობერ., 132,34).

შდრ. ქართლურში დაღასტურებული საფეთარი — „ძლიერ უშნო, ულამაზო, მახინჯი“:

რომ შევაშინებს, ისეთი შესახედაობა რო აქ, ძალიან უშნო როა, მახინჯი, საფეთარი ისა. თვალი კი დაგიდგა, ანგრე საფეთარი ჰყევხარ მამაშენს (ქართლ., ბეროზ.).

ფეთ- ფუძე „გარტყმის, ცემის“ მნიშვნელობითაცაა გამოყენებული: თავში ჩაფეთა (ქეგლ):

საშარელ-სახალათე რომ მომაჩეჩა ხელში, ის მივაფეთე საფათში (კ. კობერ., 15,18); ამოიღე ხმა, თუ არა გაფეთებო (ქართლ., გაჩეჩ.).

6) შესიტყვება თვალებს აფეოებს აღნიშნავს: „თვალებს ატრია-ლებს, იბლეირება“;

[როჭო] კანკალებდა და გასაფრენად იზიდებოდა, და ფერ-შულს თვალებს ძეგლ-ცქით იფლებდა (ვარა, II, 17,26): მგლებსავით ჭი ა ფერ თებენ იმ გერანა თვალებს (ან. ერ-ხოშტ., 209,1); მხნავ-მა თვალების ფერ თება დაიწყო (რაჭ., ძიძიგ., 121,35).

7) ფერ- ფუძის შემცველი სიტყვები დასტურდება „ძლიერი ნდო-მის“ მნიშვნელობითაც:

მაგ ცოდვის შვილები საშმელზე არინ და ფერ თებული და-ფერ თებული კი დოუშულ ჭამა (იმერ., გაჩეჩი); იგრე შაუყვარდა ამ შაჩევნებულ ი გოგო, რო იმი დასანახავიდ ფერ თება ჯ ჭირს.

აქედან — დალეთებული, შაფეობული სიყვარული — „ძლიერი სიყვარული“.

აგეთი შაფერ თებული ი სიყვარული არ გამიგონია, ჭაა (ქიზიყ., მენთოშ); ფერ თან ს ჭირან — „ძალიან უყვარს, სიყვარულს ვერ მალაქს (ხევს. მას.).

ფერ- ფუძის წარმომავლობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურა-ში გამოიჩინია შემდეგი მოსაზრებები:

1. ორმორფემიანი ფუძის ფონეტიკური გამარტივებას შემთხვევაა ქართ. (ხევს.) და-ფერ-ა-ჭ-და-ფლით-ა (აწმყო — ფლეთს). სავიქერებე-ლია, ამასვე უკავშირდებოდეს სვან. ჭ-ფ-თ-ი, „ჩეჩივს (შატყლს)“. ორი — ა-ფერ. მაშისალამე, სვან. ფერ- აგრეთვე უნდა მივიჩნიოთ \*ჭულ-თ-|| ||\*ფლ-ეთ ფუძის გამარტივებულ ვარიანტად<sup>3</sup>.

2. რუსთაველის მიერ ნახმარი დაფითა რითმის გამართვის მიზნით მიღებულია დაფლითა ფორმისაგან და ბერის ამოვარდნით<sup>4</sup>.

3. გაითვალისწინა რა დიალექტების მონაცემები, ეს მოსაზრება არ გაიზიარა იუ. გიგინე იშვილ მ ა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ფერ- ფუძისათვის ამოსავალი მნიშვ-ნელობა უნდა იყოს „გაღება“, მაშინ შესაძლებელი ჩანს მისი დაკავ-შირება ამავე მნიშვნელობის აქად. petu და სათანადო სირიულ, ებ-როულ, არაბულ სიტყვებთან<sup>5</sup>.

<sup>3</sup> თ. გამყრელი და გ. მაჭავარიანი, სონარტა სისტემა და პლატფორმების გენერაცია, თბ., 1965, გვ. 200.

<sup>4</sup> ი.ვ. მანაიშვილი, ქართული პოეტური ენის საკითხები, თბ., 1966, გვ. 100.

<sup>5</sup> ი.ვ. გიგინე იშვილი, გამოკვლევები „ვეტენისტუროსნის“ ენისა და ტექ-სტის კრიტიკის საკითხების შესახებ, თბ., 1975., გვ. 225, ს. 19.

<sup>6</sup> კ. წერეთელი, თანამედროვე საურულის ქრესტომათია ლექსიკონისაგრა, თბ., 1980.

თავის მხრივ, ივარაუდება, რომ ფლეთ—\*ფრეთ, (\*ფრეთ||ფერთ — ნაფერთალი — „რისამე მცირე ნაშილი, ნაფლეთი, ფარტენა“ (ქეგლ, V)<sup>7</sup>. ვვარაუდობთ, რომ „ხევის, გლეჭის“ ოღმიშვნელ ფრთ- ფუძიდან ლ-ს განვითრებით უნდა მიგველო ამავე მნიშვნელობის ფლეთ-, ე. ი. ფეთ—\*ფლეთ- (ლ-ს გაჩენის სხვა შემთხვევებიც დასტურდება. მაგ., მიაჩინათ, რომ ლ გაჩენილია ფუძეებში: ტლიკონი [←ტაგტყი], ხლა-ხუნი [←ხეხვა], ქლოშინი [←ქოშინი] და სხვ.)<sup>8</sup>.

თავშედ ეკრა შიგა და შიგ ა მ ო ფ ლ ე თ ი ლ ი ჩითმერდინი (ილია, 293,7); დამიწყეს გლეგა, წეწა და ფ ლ ე თ ა (თ. რაზიკ); უცნაურად დ ა ფ ლ ე თ ი ლ ი . . . სხვადასხვა ფერის ნაკუწებით დაკონკებული ფა-რაგა შეადგენდა [გლახას] ტანსაცმელს (ა. ყაზბ.); [მირანს] გვავ-ყო-რანი ეხვეოდა, დ ა ფ ლ ე თ ი ლ ი ჰქონდა გული (აკავი).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფეთ-ფუძიანმა ლექსიკურმა ერთე-ულებმა ქართულში სემანტიკური განვითარების შემდეგი გზა განვლო:

1. კარის სწრაფად გაღება; 2. ხმლის გამალებული ქნევა; 3. ფხრე-წა, ხევა, გლეგა; 4. შეშინება, დაფრთხობა, მოლანდება; 5. მოულოდ-ნელად წაწყდომა; 6. გარტყმა, ცემა; 7. ბლვერა — თვალ- სიტყვასთან შეხამებაში.

ზოგ დიალექტში ფეთ-ფუძიანი სიტყვებით გაღმოიცემა ასევე „ძლი-ერი ნდომის“, „ძლიერი სიყვარულის“ მნიშვნელობაც. „ფხრეწა, ხე-ვის, გლეგის“ ოღმიშვნელ ფრთ- ფუძეში ლ-ს განვითარებით უნდა მი-გველო ამავე მნიშვნელობის ფლეთ-, რომელიც მსგავსი სემანტიკის მქონე ფეთ-ისაგან განსხვავებით დამოუკიდებელ სალექსიკონო ერთე-ულად ჩამოყალიბდა.

<sup>7</sup> ფ. ე რ თ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ზმნერი ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკონხები ქართულში, თბ., 1970, გვ. 265.

<sup>8</sup> F. Neisser, Studien zur georgischen Wortbildung, Wiesbaden, 1953, გვ. 31.